


მშობელთა ჩართულობა

(სასკოლო და დისტანციური საწავლების პროცესში მე-8 კლასის მაგალითზე)



ნათია ლაბაძე

თინათინ ბურძენიძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული მასწავლებელი

თანახელმძღვანელი: ნინო ჭიაბრიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

1.2. განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგებს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ლაბაძე

თინათინ ბურძენიძე

01.07.2020

1.3. აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა თბილისის №-- საჯარო სკოლაში. კვლევის მიზანია აღნიშნული სკოლის, საბაზო საფეხურის, მე-8 კლასის მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის ხელშეწყობის სტრატეგიების შემუშავება.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. მონაცემთა შესაგროვებლად კი, შემდეგი ინსტრუმენტები: იტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, გამოკითხვა, აუდიო ჩანაწერი, სიტყვიერი ინტერაქცია, ფიზიკური გარემოს შეფასება - დაკვირვება და სხვ.

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლებს ურჩევნიათ ინიციატორის როლი, ჩართულობის ამდლებში, სკოლამ შეასრულოს. ამასთანავე სურთ უფრო ხშირად ჰქონდეთ კომუნიკაცია მასწავლებლებთან, იქნება ეს სოციალური ქსელები თუ პირისპირ შეხვედრები. სჭირდებათ უფრო მეტი ინფორმაცია თავიანთი შვილების ასაკობრივი თავისებურებებისა და პიროვნული განვითარების შესახებ. მათი უმრავლესობა თანახმაა ჩაერთოს სკოლის მიერ შეთავაზებულ მოხალისეობრივ აქტივობებში. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ, ძირითად პრობლემად მშობლების მცირე ნაწილი ასახელებს იმას, რომ მათი შვილები ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ ახერხებდნენ ონლაინ რეჟიმში საკუთარი ცოდნისა და უნარების წარმოჩენას. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მშობლებლების ჩართულობა დისტანციურ სასწავლო პროცესში შედარებით მაღალი იყო.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით შევიმუშავეთ რეკომენდაციები, როგორც მშობლებისთვის, ასევე სკოლის საზოგადოებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მშობელთა ჩართულობა, პრაქტიკის კვლევა, სკოლა, მშობელი, საბაზო საფეხური.

1.3. The abstract

This work is the account of the action research, which is being implemented in the public school #-- in Tbilisi. The aim of the research is to increase the involvement of eight grade students' parents on the basic level.

We'll use the qualitative and quantitative methods during the study to collect the data. We'll use the following instruments, such as: an interview, a focus group, an audio recording, an oral interaction, an assessment of physical environment _ an observation and analysis of second hand data (in case of existence).

With these methods, we'll find out about the parents' involvement in school activities and in the process of child's development. The results of the research will show us, why there is a problem of parents' involvement on the basic level.

Based on the results we can say that parents prefer that the school plays the main role in raising the involvement and participation of the students. At the same time parents would like to have a tight connection and communication with the school and the teachers via social media or personal meetings. They need more information about their children's personal development or age specific requirements. The majority of them agrees on participation in voluntarily activities organized by the school. Parents think that online learning was a challenge for their children in order to express their knowledge or skills. They think that the children partially did it but some of them couldn't do it at all. Research also showed that parents' participation was higher during the online learning.

According to the results of this research, we worked out recommendation for both parents and the school community.

Basic key words: parents participation, practice research, school, parent, basic level.

1.4. მადლობა

პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს ქ. ქეთევან თოდაძეს და თანახელმძღვანელს ნინო ჭიაბრიშვილს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

კვლევის ჩატარების ხელშეწყობისათვის და გაწეული დახმარებისათვის, ასევე დიდ მადლობას ვუხდით ქ. თბილისის N---ე სკოლის დირექტორს ქ. --- , ადმინისტრაციის სხვა წევრებს, მე-8 ბ კლასის დამრიგებელს ქ. --- და ამავე კლასის მშობლებს კვლევაში მონაწილეობისათვის.

ინტერვენციების განხორციელების ეტაპზე გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ამავე სკოლის ფსიქოლოგს ქ. --- .

ბოლოს, ჯგუფის წევრები, მადლობას ვუხდით ერთმანეთს თანამშრომლობისთვისა და გაწეული მუშაობისთვის.